ხელშეკრულება № 9
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

12 თებერვალი 2018წ.

1.ხელშეკრულების მხარეები

ერთის მხრივ შ.პ.ს "ლაბორატორიული კვლევის ცენტრი", მისი დირექტორი გრიგოლ რუხაძის სახით (შემდეგში „შემსყიდველი") და მეორეს შპს "კალიიდის"-ს მხვრივ მისი დირექტორის ელგუჯა ხაალიშვილის სახით (შემდეგში "მიმწოდებელი") ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ"საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 მუხლის,პირველი პუნქტის"ა" ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთავჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების "გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-2 მუხლის "ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, მხარეებს შორის მიღწეული შეთანხმების გათვალისწინებით, დებენ სახელმწიფო შესყიდვემის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში "ხელშეკრულება").

2. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება, კლასიფიკატორის კატეგორია და ქვეკატეგორია

2.1 შესყიდვის ობიექტი-პესტიციდების და სადეზინფექციო საშუალებების შეძენა.
2.2 შესყიდვის საშუალება – გამარტივებული შესყიდვა
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი- 24400000 სასუქები და ნიტროგენული ნაერთები

3. ხეშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 1000(ერთიათას) ლარს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები- ხელშეკრულების დადებიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველის უფლებამოსილ პირს, შესაბამისი დოკუმენტაცია (მიღება-ჩაბარების აქტი, ანგარიშ/ფაქტურა და სხვა.

5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

5.1. შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს ამ სფეროში არსებულ, საქართველოში მოქმედ სტანდარტებს, ხელშეკრულების პირობებს და შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა

5.1 ხელშეკრულების ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა განისაზღვრება,ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2019წლის 31 იანვრის ჩათვლით.

7. შესყიდვის ობიექტის ანგარიშსწორების ფორმა და მიღება ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერს საწარმოს დირექტორი.
7.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება –ლარებში.
7.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით-(გადარიცხვა).
7.4 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუმეტეს 10(ათი) საბანკო დღის განმავლობაში.

8. ფორს მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა,ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ყველა ის გარემოება რომლებიც უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების

შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
8.2 მხარე რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა
9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
9.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

10.1 შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი დაევალოს თანამშრომელს.
10.2 ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირების ფუნქცია მისაწოდებელი ან და მიწოდებული საქონლის მოცულობის, ხარისხის და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.
10.3 ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება შესაძლებელია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე. ხელშეკრულების შესრულევების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს დირექტორის მოადგილე და ბუღალტერი.

11. სხვა პირობები

11.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან ერთი –მიმწოდებელთან, მეორე შემსყიდველთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა უნდა იყოს შესრულებული ქართულ ენაზე.
11.2 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
11.3 აღნიშნული ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

12. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„ შემსყიდველი "	„ მიმწოდებელი"
შ.პ.ს „ლაბორატორიული კვლევის ცენტრი"	შპს "კალიიდი"
ქ. ფოთი, მიქაბერიძის №2	მის: თბილისი, შროშის 8
ს/ს ლიბერთი ბანკი, ქ. ფოთი	საიდენტიფიკაციო კოდი: 404461088
საიდ.კოდი: 215139348	ბანკი: ს.ს პროკრედიტ ბანკი
მ/ა GE12LB0113140194132000	მ/ა GE64PC0353600100002530
ბანკის კოდი: LBRTGE22	ბანკის კოდი: MIBGGE22
დირექტორი: /გ. რუხაძე/	დირექტორი: /ე. ხალიშვილი/